

**ზოგიერთი ანტიკონვულსანტის გავლენა მეხსიერებაზე, მოძრაობით-კვლევით  
აქტივობასა და ემოციურობაზე**

**ეკა ნემსიწვერიძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ნეირომეცნიერებების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა  
(მიმართულება: ნეირომეცნიერებები)

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ლია მაისურაძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
ნიკოლოზ ონიანი, PhD,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2014**

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
სურათების ჩამონათვალი.....	5
აბრევიატურის ჩამონათვალი.....	6
შესავალი.....	7
1. ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
1.1. ეპილეფსია - ნევროლოგიური დარღვევა.....	8
1.2. ეპილეფსიური გულყრების კლასიფიკაცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა ....	11
1.3. ანტიკონვულსანტების გავლენა მეხსიერებაზე.....	15
1.4. ანტკონვულსანტების სხვადასხვა ეფექტები.....	17
2. კვლევის მასალა და მეთოდები.....	21
2.1. კვლევის ობიექტი.....	21
2.2. გამოყენებული კვლევის მეთოდები .....	21
2.2.1. ღია ველის მეთოდი.....	21
2.2.2. პასიური განრიდების ტესტი.....	22
2.2.3. სტატისტიკური ანალიზი.....	23
3. მიღებული შედეგები.....	23
3.1. ვალპროატის გავლენა მოძრაობით-კვლევით აქტივობაზე (ღია ველის მეთოდით) .....	23
3.2. ვალპროატის გავლენა მეხსიერების კვალის კონსოლიდაციაზე (პასიური განრიდების ტესტის გამოყენებით) .....	27
4. დასკვნები.....	32
ციტირებული ლიტერატურა.....	33

## აბსტრაქტი

ეპილეფსია ფართოდ გავრცელებულ ნევროლოგიურ დარღვევას წარმოადგენს რომელიც ოდითგანვე იპყრობდა კაცობრიობის ყურადღებას. დაავადება აღენიშნება ადამიანებს, განურჩევლად საზოგადოებრივი ფენის, რასის, ასაკისა და სქესისა. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 450 წელს ჰიპოკრატემ ასეთ პათოლოგიურ მდგომარეობას „სულის დაავადება“ უწოდა. ეპილეფსია შეიძლება მიმდინარეობდეს კრუნჩხვითი ან არაკრუნჩხვითი ფორმით, რაც გარკვეულწილად ართულებს ეპილეფსიის დიაგნოზის სწორად დასმას და სამკურნალო სტრატეგიის შერჩევას. საქართველოში, 2005-2006 წლებში სახელმწიფო პროგრამის „ეპილეფსიის პროფილაქტიკა და მკურნალობა“ ფარგლებში პაციენტთა გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ დაავადებულთა 70% ღებულობს არაადექვატურ მკურნალობას (არასწორად შერჩეული ანტიკონვულსანტი, ან არაადექვატური დოზა). კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) მიხედვით, ეპილეფსიის დიაგნოსტიკის შემთხვევაში ანტიკონვულსანტით მკურნალობა მიმდინარეობს მინიმუმ 3-5 წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ ანტიკონვულსანტების ეფექტები, ძირითადად შესწავლილია ეპილეფსიის მქონე ინდივიდებში, ან ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში, რადგან ეს მედიკამენტები გამოიყენება კრუნჩხვითი აქტივობის დათრგუნვის მიზნით. თუმცა, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუ რა ზეგავლენას ახდენს თავად ესა თუ ის ანტიკონვულსანტი ეპილეფსიის არმქონე ადამიანებზე ან ინტაქტურ ცხოველებზე. მონაცემები ამის შესახებ საკმაოდ მწირია. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად მოიაზრება ის გარემოება, რომ ეპილეფსიის არმქონე ადამიანებში ანტიკონვულსანტების მოქმედების შესწავლა, თუნდაც ეთიკური თვალსაზრისით, ძალიან იშვიათად ხდება (კვლევაში მონაწილეობაზე მოხალისე სუბიექტების დათანხმება მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული და ისიც, დიდი გასამრჯელოს სანაცვლოდ).

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენდა ეპილეფსიის სამკურნალოდ ფართოდ გავრცელებული და გამოყენებული ანტიკონვულსანტის - ვალპროატის ზეგავლენის

შესწავლა ინტაქტური ცხოველების თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების ისეთ ფორმებზე, როგორცაა ზოგადი ქცევა, ემოციურობა, დასწავლა და მეხსიერება.

ექსპერიმენტები ჩატარდა ზრდასრულ ვირთაგვებზე ( $n=20$ ). კვლევის მეთოდებიდან გამოყენებული იყო: პასიური განრიდების ტესტი (დასწავლისა და მეხსიერების შესასწავლად) და ლია ველის მეთოდი (კვლევითი აქტივობისა და მოტივაციურ-ემოციური ქცევის შესასწავლად). საკვლევ მედიკამენტს წარმოადგენდა ანტიკონვულსანტი დეპაკინი (მოქმედი ნივთიერება - ვალპროატის მჟავა).

ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ვალპროატის ერთჯერადმა გამოყენებამ გამოიწვია სედაციური ეფექტი (ა), მოძრაობით-კვლევითი აქტივობის შემცირება (ბ) და შიშის რეაქციის დათრგუნვა (გ); ვალპროატმა არ მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მეხსიერების კვალის კონსოლიდაციაზე.